# საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

## ბრძანება №28
## 2019 წლის 1 აპრილი

## ქ. თბილისი

**„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №989 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 31/12/2013, სარეგისტრაციო კოდი: 140130000.22.034.016240) დამტკიცებულ წესდებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეს წესი არ ვრცელდება სამინისტროს ვადიან სამხედრო მოსამსახურეებზე, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეებზე.“.

2. მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის გამოვლენისას სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი პირები უფლებამოსილი არიან, შეადგინონ დისციპლინური გადაცდომის ამსახველი დასკვნა და განიხილონ დისციპლინური სახდელის დადების საკითხი მხოლოდ განყოფილების უფროსის მოადგილისა და უფრო დაბალი რანგის მოსამსახურის მიმართ.“.

3. ამოღებულ იქნეს მე-4 მუხლის $4^3$ პუნქტი.

4. ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული №2 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„დანართი №2

**იმ პირთა ნუსხა, რომელთაც აქვთ მოსამსახურის წახალისების უფლება**

**(გავრცელდეს 2016 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)**

| თანამდებობის დასახელება | უფლება<br>წახალისების გამოყენებაში |
|---|---|
| 1 | 2 |
| 1. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი | ყველა სახის წახალისების გამოყენება |

| | |
|---|---|
| 2. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე  და მოადგილეები<br><br>(საკურატორო სფეროების მიხედვით) | მადლობის გამოცხადება, დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა (გარდა მინისტრის მიერ დადებული სახდელისა), ფულადი ჯილდოთი ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, კომპეტენციის ფარგლებში მორიგი სამხედრო ან სპეციალური წოდების ვადაზე ადრე მინიჭება |
| 3. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების  ხელმძღვანელები | მადლობის გამოცხადება, ფულადი ჯილდოთი ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და მათ მიერ განხილული და დადებული სახდელის ვადამდე მოხსნა |
| 4. სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელები | მადლობის გამოცხადება, ფულადი ჯილდოთი ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და მათ მიერ განხილული და დადებული სახდელის  ვადამდე მოხსნა |

“.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 აპრილიდან.

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი** **გიორგი გახარია**